ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა

განხორციელების ვადა: 29.12.2016 - 13.01.2020

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 998 400

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
BUSINESS AND STRATEGIES IN EUROPE

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
linkedin.com/company/b&s-europe/

პროექტის ვებსაიტები: corrot.github.io/euca.github.io

პროექტის აღწერა:

პროექტის ამოცანაა კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაუმჯობესება კონკურენციის პოლიტიკის სათანადო აღსრულებისთვის, სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, საქართველოში კონკურენციის კულტურის დახვეწა. პროექტის ფარგლებში მზადდება გზამკვლევი დოკუმენტები და რეკომენდაციები. პროექტი მოიცავს კვალიფიკაციის გაუმჯობესებისა და ცნობიერების ამაღლებისადმი მიძღვნილ აქტივობებს, ასევე, თემატურ სემინარებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

მოსალოდნელი შედეგები:

ა) გაუმჯობესდა კონკურენციის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო:

კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლების ცოდნის დონე კონკურენციისა და ბაზრის ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით, DCFTA-ს დებულებების შესაბამისად, ამაღლდა.
ეს მოიცავს კონკურენციის სფეროში უწყების შესაძლებლობების გაზრდას, კონკურენციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესებას. გაუმჯობესებული ცოდნა და შესაძლებლობები გამოიწვევს კონკურენციის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სახლმწიფო დახმარების ნაწილში. ეს ასევე გამოიწვევს, კონკურენციის ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საქმისწარმოების ეფექტიანობისა და საქმის მოკვლევის შემთხვევების გაზრდას, ბაზრის სიღემისეული ანალიზის გაუმჯობესებას.
შიდა პროცედურების პრაქტიკა და გამჭირვალობა გაუმჯობესებულია.
გაიზარდა კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლების, თანამდებობის პირების და ფართო აუდიტორიის წარმომადგენელთა, მათ შორის ბიზნეს სექტორის და ეკონომიკური აგენეტების, ცნობიერება კონკურენციის საკითხებზე.
აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლობა დარგობრივ მარეგულირებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, გაძლიერდა და გაუმჯობესდა.
გაუმჯობესდა ინფორმაციის მართვის შიდა სისტემა.